

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა აკაკი შანიძემ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია 2019 წელს შეიმუშავა **ვახტანგ მაღრაძემ**.

წინამდებარე პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (01.07.2019).

პროექტი დამტკიცებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (02.08.2019).

## ვითარებითი ბრუნვის ფორმა

სალიტერატურო ქართულში (ძველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული დღემდე) ვითარებითი ბრუნვის ნიშნად თანხმოდგანფუძიან სახელებთან გვაქვს **-ად**, ხოლო ხმოვანფუძიანებთან – **-დ**, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების ტექსტებსა და ცოცხალ კილოებში თავს იჩენს **-დ**-ს დაყრუებული ვარიანტი (თანხმოდგანფუძიანებთან გვხვდება **-ათ**, ხოლო ხმოვანფუძიანებთან – **-თ**). კილოების გავლენით **-ათ** და **-თ** დაბოლოებანი ჩნდება სალიტერატურო ენაშიც.

ვითარებით ბრუნვაში **-დ**-ს **-თ**-დ ქცევა განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა **-ბ**-ს დაყრუება და მისგან **-ფ**-ს მიღება: **ვაკეთებ**, **ვამზოფ**, **ვაწყოფ** და სხვ.

ბოლოკიდური მჟღერი ბგერის დაყრუება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ყრუ ბგერა უნდა დაიწეროს. შდრ.: ზმნათა **-ებ** და **-ოფ** სუფიქსებიანი დიალექტური ვარიანტები, რომლებიც, ბუნებრივია, მცდარ ფორმებად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში **-ბ** (და არა **-ფ**) რჩება იმის გამო, რომ ის უცვლელად არის წარმოდგენილი **აკეთებს**, **ამზობს**, **აფერადებს** და ა. შ. ტიპის ზმნებში.

**-ებ** და **-ოფ** სუფიქსების მსგავსად დიალექტურია ვითარებით ბრუნვაში გამოვლენილი **-ც**, რომლის პირვანდელი სახე **-დ** მკვიდრად არის დაცული ვითარებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში. ასეთე-ბია:

ა) წილობითი რიცხვითი სახელები: **მესამედი**, **მეოთხედი**, **მეათედი**, **მეასედი** და სხვ.

ბ) ყველა ის სახელი, რომელთა ფუძედ ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია: **გულად** – **გულადი** – **გულადობა**, **პირად** –

**პირადი – პირადობა, თვალად – თვალადი – თვალადობა, ტანად – ტანადი – ტანადობა** და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს **უნებლიეთ** ფორმის შესახებ, რომელიც ძველი ქართულიდან მომდინარეობს და მართებულად არის მიჩნეული სალიტერატურო ენისთვის. თანამედროვე ქართულში დასტურდება აგრეთვე **უნებლიედ** ვარიანტი, რომელიც **უნებლიე** ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა და ძირითადად გამოიყენება ზმნისართის ფუნქციით: **უნებლიედ** შეცდა, **უნებლიედ** წაეშალა (შდრ.: **კარგად** ხატავს, **ლამაზად** წერს, მწარედ მოტყუვდა...). აღნიშნული ფორმა უნდა იქნეს მიჩნეული მართებულ ვარიანტად.

**უნებლიედ** ვისმინე, რაც ხვეისბერს შენ უთხარი, ჩემო (ვ. გამსახურდია);

ოი, – **უნებლიედ** აღმოხდა ბავშვს, – საწყალი, საწყალი (გ. რჩეულიშვილი);

ქართული კულტურის ევროპულობა **უნებლიედ** იქცა ამ ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად (დ. კაკაბაძე)...

ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოდანფუძიანებთან უნდა იყოს **-ად**, ხმოდანფუძიანებთან – **-დ**: **კაცად** (და არა კაცათ), **მეგობრად** (და არა მეგობრათ), **სახლად** (და არა სახლათ), **სოფლად** (და არა სოფლათ), **გზად** (და არა გზათ), **მზედ** (და არა მზეთ), **ყრუდ** (და არა ყრუთ), **წყაროდ** (და არა წყაროთ), **დიდად** (და არა დიდათ), **კარგად** (და არა კარგათ), **ცუდად** (და არა ცუდათ), **მწარედ** (და არა მწარეთ), **სამად** (და არა სამათ), **რვად** (და არა რვათ), **რად** (და არა რათ) და სხვ.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა (კერძოდ, ზმნისართებისა), რომლებიც მოქმედებითი ბრუნვისგან მიიღებიან ან ფუძეში შეიცავენ **თ**-ს, დაიწერება **თ**-თი (და არა **დ**-თი): **გარეთ**, **ზემოთ** (// **ზევით**), **ქვემოთ** (// **ქვევით**), **წინათ**, **უკეთ**, **ალბათ**, **შიგნით**.

**შენიშვნა:** უნებლიეთ ფორმა მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში „**ნებსით თუ უნებლიეთ**“.

## The Form of the Equative Case

### Summary

In literary Georgian (since the time of the old written monuments) the equative case marker with consonant-base nouns is **-ad** while it is **-s** with vowel-base words. However, in the texts and oral dialects of XVII-XVIII centuries the voiceless variant of **-d** emerges (with consonant-base words having **-at** and vowel base words having **-t**). Under the influence of the dialects, the endings **-at** and **-t** enter the literary language as well.

The following rules should be taken into consideration when using the equative case marker:

1. The equative case marker should be **-ad** with the consonant-base words while it should be **-d** with vowel-base nouns, e.g. *ḳacad* (not *ḳacat*), *ḳargad* (not *ḳargat*), *mḳared* (not *mḳaret*), *mecxred* (not *mecxret*), *rad* (not *rat*), etc.
2. A part of words (namely, adverbs) that are derived by the instrumental case marker or include **t** in the base should be written with **t** and not **d**, e.g. *garet*, *zemat* (// *zevit*), *kvemat* (// *kvevit*), *ḳinat*, *uḳet*, *albat*, *ḡignit*.

Note: The form *unebliet* should be considered to be correct in the traditionally established expression “*nəbsit tu enebliet*”.